1. სამაგისტრო პროგრამის დასახელება

სამაგისტრო პროგრამა გენდერის კვლევაში (Master's (MSocSc) Program in Gender Studies)

2. სამაგისტრო პროგრამის ავტორები: ნინო ჯავახიშვილი, თამარ ცხადაძე, მარინე ჩიტაშვილი

პროგრამის ხელმძღვანელი: თამარ ცხადაძე, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

საერთაშორისო აკადემიური ხელმძღვანელი (foreign academic supervisor): ჯოანა რეგულსკა, რათგერსის უნივერსიტეტის ქალთა და გენდერის კვლევების დეპარტამენტის პროფესორი, საერთაშორისო პროგრამების დეკანი (ნიუ-ჯერსი, აშშ).

3. **სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები.**

პროგრამაზე მიღებისათვის მოითხოვება:

- ბაკალავრის ხარისხი ან დიპლომი ნებისმიერ სფეროში; სასურველია გარკვეული ცოდნა სოციალურ მეცნიერებებში;
- საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება;
- სტანდარტული საგანაცხადო დოკუმენტაცია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურაში შესვლისათვის;
- სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის საგანაცხადო ფორმის შევსება. საუნივერსიტეტო მოთხოვნების გარდა ცენტრის საგანაცხადო ფორმაში აუცილებელია მოტივაციის წერილის წარმოდგენა, რომელშიც ასახული იქნება აპლიკანტის სურვილი, მოლოდინი, მოტივაცა და ხედვა, თუ რატომ აბარებს ის კონკრეტულად ამ სპეციალობაზე. დამატებით აპლიკანტს შეუძლია წარმოადგინოს ნებისმერი რელევანტური ინფორმაცია, რომელიც ასახავს მის აქტივობას, კვალიფიკაციის დონეს ან სამუშაო გამოცდილებას სამეცნიერო ან პრაქტიკული საქმიანობის თვალსაზრისით;
- მაგისტრანტს მოეთხოვება ინგლისური ენის ცოდნა სულ მცირე B1 დონეზე. ამ მოთხოვნის შესასრულებლად კანდიდატს შეუძლია წარმოადგინოს შესაბამისი სერტიფიკატი (TOEFL, IELTS, სხვა მათი ეკვივალენტური ტესტები), ან ჩააბაროს უცხო ენაში თსუ-ს ენათა ცენტრის მიერ ორგანიზებული სამაგისტრო მისაღები გამოცდა;
- კანდიდატთა საბოლოო შერჩევა ხდება სპეციალობაში წერითი გამოცდისა და საგანგებოდ შექმნილ კომისიასთან გასაუბრების საფუძველზე. საგამოცდო საკითებისა და შესაბამისი ბიბლიოგრაფიული რეკომენდაციების ნახვა შეიძლება სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის ვებგვერდზე. საკითხავი ლიტერატურის ელექტრონული ვერსიის მოთხოვნა შეიძლება ცენტრის ბიბლიოთეკაში.
- გამოცდების ფორმატი და საბოლოო ქულის გამოყვანის სტრუქტურა:

    - წერითი გამოცდა სპეციალობაში (40 %)
    - ინგლისური ენის ტესტი - B1 დონე (20%)
    - გასაუბრება (40 %)
    - საერთო სამაგისტრო გამოცდები - უნდა დააკმაყოფილოს მინიმალური მოთხოვნა - ივლისი.

4. საგამოცდო საკითხები

საკითხები 2011-2013 სასწავლო წლის მისაღები გამოცდისათვის

- ფემინისტური ეპისტემოლოგია
- ქართული ტრადიციული საზოგადოების წნეხი ქალებზე (ქალიშვილობის ინსტიტიუტი და სხვა პრობლემები)
- გენდერის სოციალური აგება
- გენდერული თანასწრობის პოლიტიკა საქართველოში
- ფემინიზმის მიმართულებები
- გენდერი და შრომა
- ქალთა პოლიტიკური აქტივობა
- პატრიარქატი, როგორც სისტემა

რიდერი აბიტურიენტებისათვის 2011-2013 სასწავლო წლის მისაღები გამოცდისთვის მოსამზადებლად

1. ჯავახიშვილი, ნ., კვლევის რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში. ფემინისტური ეპისტემოლოგიის პერსპექტივა // *ქართული ფსიოქლოგიური ჟურნალი*, №7 2004, 43-59.
2. მელიქიშვილი, ლ., ეთნიკურ-კულტურული ცნობიერების თავისებურებანი ქალთა ზეპირ ისტორიებში // *მრავალეთნიკური საქართველო გასულ საუკუნეში*, ჯისიაი, თბილისი, 390-431.
3. საბედაშვილი, თ., ზეპირი ისტორია: მეთოდი და სინამდვილე // *მრავალეთნიკური საქართველო გასულ საუკუნეში*, ჯისიაი, თბილისი, ?, 432-439.
4. ქალწულობის ინსტიტუტი, როგორც პრობლემა // *სოციოლოგიური კვლევები გენდერის სფეროში*, ქალთა განათლებისა და ინფორმაციის საერთაშორისო ცენტრი, თბილისი, 97-117.
5. ჯავახიშვილი, ნ., ფემინიზმის მიმართულებები, ფემინისტური და გენდერული მოძრაობა // *გენდერული პრობლემატიკა საქართველოში*, ქალთა განათლებისა და ინფორმაციის საერთაშორისო ცენტრი, თბილისი, 2002, 63-77.
6. ფხაკაძე, რ., ქალთა სექსუალობის პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები // *გენდერული პრობლემატიკა საქართველოში*, ქალთა განათლებისა და ინფორმაციის საერთაშორისო ცენტრი, თბილისი, 2002, 195-201.
7. ხომერიკი, ლ., *გენდერი და პოლიტიკა*, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბილისი, 2006, 6-43.
8. პადავიჩი, ი., რესკინი, ბ., ქალები, მამაკაცები და სამუშაო XXI საუკუნეში // გენდერის საკითხავი ლიტერატურა, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბილისი, 2007, 179-192.
9. ზურიკაშვილი, ფ., მაღრაძე, გ., ჭანიშვილი, ნ., ხუციშვილი, გ., ჯორბენაძე, რ., *კონფლიქტი, გენდერი და მშვიდობის მშენებლობა*, თბილისი, 2003, ტერმინთა განმარტება II თავისთვის, 185-189.
10. Hartmann, H., Capitalism, Patriarchy and Job Segregation by Sex // Abel, E., Abel, E. K. (ed.), *The Signs Reader: Women, Gender and Scholarship*, The University of Chicago Press, Chicago and London, 193-224.
11. Shvedova, N., Obstacles to Women's Participation in Parliament // Karam, A. et al., *Women in Parliament: Beyond Numbers*, 19-40.
12. Lorber, J., The Social Construction of Gender // Kirk, G., Okaazawa-Rey, M , Women's Lives. Multicultural Perspectiv, Mayfield Publishing Company, 20-24.
13. Johnson, A. G., Patriarchy, the System // Kirk, G., Okaazawa-Rey, M, Women's Lives. Multicultural Perspectiv, Mayfield Publishing Company, 24-34.

საკონტაქტო ინფორმაცია:

თამარ ცხადაძე 5 99 51 68 76